



შენ ხარ ექვმიტანილი დანაშაულის ჩადენაში

შენ ხარ დაკავებული როგორც ექვმიტანილი და წამოყვანილი (პოლიციის) განყოფილებაში ან დაკითხვის ჩატარების სხვა ადგილზე. ან შენ ხარ გამოძახებული ჩვენების მისაცემად. რა უფლებები გაქვს?

Georgisch

შენ ხარ 12-დან 18 წლამდე ასაკის და ექვმიტანილი ხარ დანაშაულის ჩადენაში. შენ ხარ დაკავებული პოლიციის, ან სხვა საგამომიებო სამსახურის მიერ და წამოყვანილი განყოფილებაში, რათა დაგისვან კითხვები. ამა ჰქვია დაკითხვა. ან შენ ხარ გამოძახებული განყოფილებაში. მნიშვნელოვანია, რომ იცოდე შენი უფლებები და მოვალეობები. ამიტომ წაიკითხე ეს საინფორმაციო ფურცელი ყურადღებით.

გაქვს კითხვები?

გაქვს ამის შემდეგ კიდევ კითხვები? მაშინ დაუსვი ეს კითხვები შენს ადვოკატს, პოლიციას, ან სხვა საგამომიებო სამსახურს, რომელთანაც შენ გაქვს საქმე. როდესაც ამ საინფორმაციო ფურცელში ნახსენებია „პოლიცია“, აქ შეიძლება ასევე სხვა საგამომიებო სამსახურიც იყოს მხედველობაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილე ინტერნეტ-გვერდი www.juridischloket.nl ან დარეკე ტელეფონის ნომერზე: 0900 - 8020 (€ 0,25 წუთში).

ხარ დაკავებული და წამოყვანილი განყოფილებაში?

იცოდე შენი უფლებები

- პოლიციამ უნდა მოგიყვეს თუ რის ჩადენაში ხარ ექვმიტანილი.

- პოლიციას შეუძლია დაგისვას კითხვები. ამას ჰქვია დაკითხვა.
- შენ არ ხარ ვალდებული გასცე პასუხი თუ ამის სურვილი არ გაქვს. შენ გაქვს დუმილის უფლება;
- სანამ დაკითხვა დაიწყება პოლიცია ჩართავს ადვოკატს, რათა მან მოგცეს რჩევები. ადვოკატის მოსვლას შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს. პრინციპში, ადვოკატი გამოძახებიდან ორი საათის ვადაში უნდა გამოცხადდეს. ადვოკატთან გასაუბრება გრძელდება მაქსიმუმ ნახევარი საათი. თუ მეტი დროა საჭირო, ესეც შესაძლებელია. ეს შენთვის უფასო იქნება. თუ თქვენ თვითონ იცნობთ ადვოკატს, რომლის თანადგომაც თქვენ გირჩევენიათ, უთხარით ეს პოლიციას.
- ადვოკატს შეუძლია დაესწროს დაკითხვას. თუ შენ ექვმიტანილი ხარ მსუბუქი დანაშაულის ჩადენაში, მაშინ შენ თვითონ (ან შენმა მშობლებმა) უნდა გადაიხადო(თ) ამის საფასური. თუ შენ ექვმიტანილი ხარ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენაში (მაგალითად ქურდობა ან ძალადობა), მაშინ ეს შენთვის უფასო იქნება. შეეკითხე ადვოკატს პირველი შეხვედრის დროს, თუ რომელ სიტუაციაში იმყოფები.
- თუ შენ არ გსურს ადვოკატი, დაკითხვას შეიძლება დაესწროს შენი სანდო პიროვნება, მაგალითად შენი მამა ან დედა. უთხარი ამის შესახებ პოლიციას.

თუ პოლიცია თქვენთვის ადვოკატის ჩასართავად, თქვენს პირადულ მონაცემებს გადასცემს იურიდიული დახმარების საბჭოს, ეს მონაცემები შეტანილი იქნება ამ საბჭოს ადმინისტრაციაში.

- თუ ნიდერლანდურ ენას არ ფლობ, ან კარგად არ გესმის, მაშინ შენ გაქვს (პოლიციის მიერ) დაკითხვისას მთარგმნელის დახმარების უფლება. უთხარი პოლიციას, თუ რამე ვერ გაიგე. მთარგმნელს აგრეთვე შეუძლია დაგეხმაროს ადვოკატთან საუბრის დროს. ეს შენთვის უფასო იქნება.
- თუ საჭიროდ ჩაითვლება, რომ შენ (პოლიციის) განყოფილებაში უნდა დარჩე, მაშინ პოლიცია დაურეკავს შენს მშობლებს ან მეურვეს, რათა შეატყობინოს, რომ შენ დაკავებული ხარ. ზოგჯერ პროკურორმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ამის გაკეთება ჯერ დროებით არ შეიძლება. ამის შესახებ ინფორმირებული იქნება ბავშვთა დაცვის საბჭო.
- თუ გადაწყდება, რომ (პოლიციის) განყოფილებაში უნდა დარჩე და შენ არ ხარ ნიდერლანდების მოქალაქე, მაშინ შეგიძლია პოლიციას თხოვო, რომ შენი დაკავების შესახებ ეცნობოს შენი ქვეყნის საკონსულოს ან საელჩოს.
- თუ შენ თავს კარგად არ გრძნობ, გსურს ექიმთან შეხვედრა ან გესაჭიროება წამალი, უთხარი ეს პოლიციას.
- შენ გაქვს უფლება გაეცნო საქმეში არსებულ საბუთებს, თუ ასეთები არსებობს. ზოგიერთ შემთხვევაში, პროკურორს შეუძლია დროებით აკრძალოს ამის გაკეთება. თუ ნიდერლანდური ენა არ გესმის, ან არ გესმის კარგად, გაქვს უფლება გადაათარგმნინო ზოგიერთი საბუთი ან საბუთის ნაწილი, როგორცაა დროებითი დაკავების ბრძანება და სასამართლოში გამოძახების უწყება.

რამდენი ხანი შეუძლია პოლიციას შენი დაკავება?

- დამოკიდებულია თუ რა დანაშაულის ჩადენაში ხართ ეჭვმიტანილი, თქვენ შეიძლება იყოთ დაკავებული (პოლიციის) განყოფილებაში მაქსიმუმ 3 დღის და 18 საათის განმავლობაში.
- თუ ამის შემდეგ, გამოძიების ჩასატარებლად საჭიროა თქვენი დაკავების გაგრძელება, მაშინ ამის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მოსამართლემ. შეეკითხეთ თქვენს ადვოკატს, თუ რის გაკეთება შეგიძლიათ, თუ არ ეთანხმებით თქვენს დაკავებას ან დაკავების გაგრძელების გადაწყვეტილებას.

გამოგიახვსა შენ პოლიციამ პოლიციის განყოფილებაში?

მაშინ შენ (ან შენს მშობლებს) შეგიძლია(თ) შენს დაკითხვამდე დაუკავშირდეთ ადვოკატს რჩევის მისაღებად. დაელაპარაკე ადვოკატს, დაესწრება ის თუ არა დაკითხვას. შენ თვითონ (ან შენმა მშობლებმა) უნდა გადაიხადო(ნ) ადვოკატის საფასური.

რით შეუძლია ადვოკატს შენი დახმარება დაკითხვამდე?

ადვოკატი იცავს მხოლოდ შენს ინტერესებს. სანამ შენ დაგკითხავენ, ადვოკატს შეუძლია:

- გაგესაუბროს იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომლის ჩადენაშიც შენ ხარ ეჭვმიტანილი;
- მოგცეს იურიდიული რჩევა;
- მოგიყვეს (პოლიციის მიერ) დაკითხვის ჩატარების მიმდინარეობის შესახებ;
- მოგიყვეს შენი უფლება-მოვალეობების შესახებ დაკითხვის დროს;
- დაუკავშირდეს შენს ახლობლებს ან სამსახურის ხელმძღვანელს და მიაწოდოს მათ ინფორმაცია შენი სიტუაციის შესახებ, თუ გაქვს ამის სურვილი.

რასაც დაკითხვის დროს პოლიციას მოუყვები მნიშვნელოვანია, რადგანაც ეს იქნება ჩაწერილი დაკითხვის ოქმში. გაიგზავნება შენი საქმე პროკურორთან და შემდეგ კი მოსამართლესთან? მაშინ ისინი ნახავენ თუ რა წერია დაკითხვის ოქმში. ამიტომ შენ ყურადღებით უნდა წაიკითხო შენი დაკითხვის ოქმი. თუ შენ ამას ეთანხმები, პოლიცია გთხოვს ქვემოთ დაწერო შენი სახელი და გვარი ან მოაწერო ხელი. თუ შენ ამას არ ეთანხმები, თხოვე პოლიციას, რომ შეასწორონ. თუ დაკითხვას ადვოკატი ესწრება, მას შეუძლია შეამოწმოს სწორედ არის თუ არა შენი დაკითხვა ჩაწერილი.

პოლიცია არ ისმენს შენს საუბარს ადვოკატთან. შენი თანხმობის გარეშე ადვოკატს არ შეუძლია სხვასთან გაამხილოს შენი მონაყოლი. აგრეთვე პოლიციასაც. იგივე ეხება მთარგმნელს, თუ ის გეხმარებოდა ადვოკატთან საუბარში.

რით შეუძლია ადვოკატს შენი დახმარება დაკითხვის დროს?

ადვოკატი იჯდება შენს გვერდით დაკითხვის ოთახში და მას შეუძლია:

- დაკითხვამდე და დაკითხვის შემდეგ გააკეთოს შენიშვნები;
- დაუსვას კითხვები დაკითხვის ჩამტარებელ თანამშრომელს;
- შეგეკითხოს თუ გაიგე რაც ითქვა;
- მიანიშნოს პოლიციას თუ შენ კითხვები ვერ გაიგე;
- ყურადღებით იყოს, რომ შენ არ გაიძულონ რამის თქმა;
- დაკითხვის დროს მოითხოვოს დაკითხვის დროებით შეწყვეტა მოსალაპარაკებლად. შენც შეგიძლია მოითხოვო დროებითი შეწყვეტა. თუ ამას ხშირად გააკეთებ, შეიძლება ამაზე უარი გითხრათ.



თუ თავს ავად გრძნობ, რომ მოხდეს შენი დაკითხვა, თქვი ეს. ადვოკატი მიანიშნებს ამას პოლიციას.

ყურადღებით: თუ შენ თავიდან თქვი, რომ არ გსურს ადვოკატის დაკითხვაზე დასწრება, მაგრამ მოგვიანებით მაინც მოისურვე, თქვი ეს. შენ მიიღებ ამის შესაძლებლობას.

თუ შენ არ მოისურვე ადვოკატის დაკითხვაზე დასწრება, შენს მშობლებს ან მეურვეს შეუძლიათ გადაწყვიტონ, რომ ადვოკატი მაინც უნდა დაესწროს დაკითხვას.

თუ დაკითხვას არ ესწრება ადვოკატი, მაგრამ ესწრება შენი სანდო პიროვნება

სანდო პიროვნებას შეუძლია მხოლოდ მოისმინოს რაც ითქმება. იგი დაჯდება შენს გვერდით დაკითხვის დროს, მაგრამ თავად არაფრის თქმის უფლება არ აქვს. სანდო პიროვნება უნდა იყოს 18 ან მეტი წლის ასაკის და არ უნდა იყოს კავშირში იმ დანაშაულთან, რომლის ჩადენაშიც შენ ხარ ეჭვმიტანილი. სანდო პიროვნება შეიძლება იყოს შენი მამა ან შენი დედა, მაგრამ აგრეთვე სხვა სრულწლოვანი პიროვნება.

ეს საინფორმაციო ფურცელი გამოცემულია:
უსაფრთხოების და იუსტიციის სამინისტროს მიერ
საფოსტო ყუთი 20301 | 2500 EH | ჰააგა

2017 ივლისი | 104356

ამ საინფორმაციო ფურცლის შინაარსიდან სამართლებრივი ვალდებულებები არ გამომდინარეობს.